ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4306295

ნომერი: AR1649431

თარიღი : 11.12.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 17.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჟვანია , N 71;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე მაზანაშვილი პ/ნ 01003002315
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 8 ბ. 42

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახურის მიერ 10/01/2017 წ. №3033674 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის მიხედვით აღნიშნული ფართი წარმოადგენს ავტოსადგომს. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ სახლზე, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟით დგინდება, რომ ხდება ავტოფარეხის ფუნქციის ცვლილება, ვინაიდან ფასადის ვიზუალი მხარე არ შეესაბამება ავტოსადგომს, რითაც იზღუდება კორპუსისათვის მიკუთვნილი პარკინგის არეალის ფართობი. აღნიშნული გარემოებების გამო ავტოფარეხის რეკონსტრუქციის განხორციელება არამიზნობრივია და სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.